

ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგი

ანგარიში

ანგარიში შექმნილია ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის“ მკვლევართა ჯგუფი და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ნიდერლანდების საელჩოს შეხედულებებს.

შესავალი

დღეისათვის ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემების მოუწესრიგებელი და უკონტროლო დამუშავებდან მომდინარე საფრთხეების მნიშვნელობა სცდება ადამიანისთვის მიყენებულ ფსიქოლოგიურ ტკივილსა და დისკომფორტს, რაც შეიძლება გამოიწვიოს ცალკეული პირადი მონაცემების გამჟღავნებამ. პერსონალურ მონაცემთა გადაჭარბებული და უკონტროლო დამუშავება ადამიანის სხვა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის არსებით რისკებს შეიცავს, რაც დაკავშირებულია ადამიანის ქცევის პროგნოზირებასა და მასზე მანიპულაციის შესაძლებლობასთან, ეს კი თავის მხრივ ასევე საფრთხეს უქმნის თანამედროვე დემოკრატიული წესრიგის არსებობას.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ადამიანების და მათი ქცევის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. ადამიანის ქცევის შესახებ მონაცემთა ანალიზისა და შესაბამისი პროფილირების საფუძველზე მრავალი მმართველობითი თუ ბიზნეს ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება, თუმცა ამავე დროს იქმნება მომეტებული რისკები ადამიანის პირად ცხოვრებაში და თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევისთვის.

შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას მზარდი მნიშვნელობა ენიჭება და დემოკრატიული სახელმწიფოები ახლებურ მიდგომებსა და სამართლებრივ მექანიზმებს ავითარებენ მზარდ გამოწვევებზე საპასუხოდ. თანამედროვე სამყაროში არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად აღარ არის საკმარისი საკანონმდებლო დონეზე მხოლოდ მონაცემთა დაცვის პრინციპების განსაზღვრა და მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონის მისაღწევად სახელმწიფოები უფრო დეტალური, კომპლექსური რეგულაციების შექმნაზე არიან ორიენტირებულნი, რომელიც სამართლებრივი პრინციპების და კონცეფციების განსაზღვრასთან ერთად ორგანიზაციული და ტექნოლოგიური გადაწყვეტების სავალდებულოობასაც გულისხმობს.

საქართველოში მრავალი საჯარო თუ კერძო დაწესებულებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი ჯერ კიდევ „სიახლედ“ ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი კანონის ძალაში შესვლიდან 8 წელზე მათი გავიდა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი 2012 წლიდან მოქმედებს, თუმცა ამ დროის მანძილზეც საკითხის ცნობადობა და მისი მნიშვნელობის აღქმა მონაცემთა დამამუშავებელთა უმრავლესობისთვის ვერ გასცდა ზოგად შემეცნებით დონეს. საქართველოში ის საჯარო დაწესებულებებიც კი, რომლებიც შეიძლება „სანიმუშოდ“ ითვლებიან მონაცემთა დაცვის სფეროში, ხშირად შორს არიან მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტისგან და მხოლოდ კანონის მოთხოვნების ფორმალური დაცვით და ზედაპირზე არსებული პრობლემების მოგვარებით შემოიფარგლებიან.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს ზედამხედველობას უწევს დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. იმის გათვალისწინებით, რომ ინსპექტორის სამსახურის რესურსები შეზღუდულია და ამ შეზღუდული რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მიემართება საკითხის ცნობადობის ამაღლებისთვის მიძღვნილ ღონისძიებებზე თუ კონკრეტულ განცხადებებზე-საჩივრებზე რეაგირებაზე, ზოგჯერ ფოკუსს მიღმა რჩება რიგი კომპლექსური და კრიტიკული საკითხები.

არსებული რეალობისა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს რეალობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე თითქმის არ ისმის ალტერნატიული შეფასებები და საექსპერტო მოსაზრებები, სამოქალაქო მონიტორინგის გზით და შესაბამისი ანგარიშებით გვსურს გამოვკვეთოთ რეალურად არსებული პრობლემური არეები და საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის თვალსაზრისით მაღალი რისკების შემცველ სისტემებზე, რომლებიც კომპლექსურ მიდგომასა და მოწესრიგებას საჭიროებს.

1. კონტექსტი

როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოშიც, მითუმეტეს, რომ ქვეყანას ადებული აქვს საერთაშორისო ვალდებულებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხის ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებაზე. 2016 წლამდე პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი საქართველოს მთვარობისთვის აქტუალური იყო, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში - საქართველოს მთვარობას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება გაეუმჯობესებინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა და პრაქტიკა. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველო მიერთებულია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ 108-ე კონვენციას და მის დამატებით ოქმს.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში იდგმება ცალკეული ნაბიჯები პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხის მოწესრიგებისკენ. თუმცა მიგვაჩნია, რომ გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი და არსებული გამოწვევების ადეკვატური. როგორც უკვე აღინიშნა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებას საქართველოში მხოლოდ 8-9 წლიანი ისტორია აქვს. საჯარო თუ კერძო სექტორში კი მრავალი მიმართულებით რეფორმები ისე გატარდა და მონაცემთა დამუშავების სისტემები ისე განვითარდა რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი საერთოდ არ იყო მხედველობაში მიღებული ან ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. აღნიშნული პრაქტიკა ნაწილობრივ დღემდე გრძელდება, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს

მრავალი საინფორმაციო სისტემა და ინსტრუმენტი, რომელიც დიდი მოცულობით პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს, თუმცა შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან, მათი ადაპტირება კი დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რომლის გაღების საკმარისი მოტივაცია მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციებს არ აქვთ. ამას ნაწილობრივ ისიც განაპირობებს, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ჯარიმების არაადეკვატურად მცირე ოდენობა.

კანონის შემოღებიდან მეცხრე და ინსპექტორის აპარატის დაარსებიდან მეშვიდე წელს პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით მონაცემთა დაცვის ძირეული ასპექტების არასწორ გაგებას თუ იგნორირებას. მონაცემთა მსხვილ დამმუშავებელთა ნაწილს, როგორებიცაა მსხვილი ბანკები, სახელმწიფო დასაწესებულებები, სადაზღვევო თუ სატელეკომუნიკაციო კომპანიები და ა.შ. ამდენი ხნის მანძილზე ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ თავიანთი სისტემების ინვენტარიზაცია და რევიზია მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნი. მეტიც, გასულ წელს ისე დაინერგა ჯანდაცვის ელექტრონული ჩანაწერების (ehr) სისტემა, რომ მონაცემთა დაცვაზე გავლენის სიღრმისეული წინასწარი ანალიზი არ მომხდარა და არ იძებნება ინფორმაცია ამ სისტემაში მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებების - მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების შესახებ.

ასეთ გარემოში უაღრესად მნიშვნელოვანად მიგვაჩია სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი ექსპერტების/აქტივისტების როლი, რომლებიც გარედან, ობიექტური დამკვირვებლის თვალთ აფასებენ პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებულ გარემოს და შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების გაზიარებით ხელს უწყობენ სფეროს შემდგომ განვითარებას.

2. კვლევის ამოცანები

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრმა შეარჩია ისეთი სისტემები, რომლებიც დამუშავებული მონაცემების კატეგორიის, მონაცემთა სუბიექტების სიმრავლისა და ასევე დამუშავების პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებებისა და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით მაღალი რისკის მატარებელს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, მსგავს სისტემებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხის დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაცია, მონიტორინგის ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმების არსებობა და სისტემის მაქსიმალური გამჭვირვალობა.

იმისათვის, რომ მსგავს მაღალი რისკის შემცველ სისტემებში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების და მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენების რისკები, აუცილებელია, გატარებული იქნას სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების ერთობლიობა.

ამგვარი ღონისძიებები შეიძლება იყოს, მათ შორის მონაცემთა დამუშავების საკითხის დეტალური რეგლამენტაცია და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, მონაცემთა დამუშავების პროცესების დოკუმენტირება, ჩანაწერების შენახვის ვადების განსაზღვრა, მონაცემებზე წვდომის კონტროლი, სისტემის დანერგვისას ისეთი პრინციპების უზრუნველყოფა, როგორცაა მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში („Privacy by Design“) და მონაცემთა დაცვა პირველად პარამეტრად („Privacy by Default“), მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება (DPIA) და ა.შ.

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი პერსონალურ მონაცემთა დაცვა შერჩეულ სისტემებში და რამდენად სერიოზულად ეკიდებიან საჯარო უწყებები მონაცემთა დაცვის საკითხს მონაცემთა დამუშავების მასშტაბურ, რისკების შემცველ სისტემაში და გატარებულია თუ არა შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. უფრო კონკრეტულად კი გვინდოდა პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე:

- განსაზღვრული და დეკლარირებულია თუ არა მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნები, შესაბამისად, განჭვრეტადია თუ არა მონაცემთა დამუშავების პროცესი მონაცემთა სუბიექტისთვის;
- შეფასებულია თუ არა სისტემაში მონაცემთა დამუშავების ზეგავლენა ან ჩატარდა თუ არა სხვა ტიპის ანალიზი იმის დასადგენად, თუ რა გავლენა აქვს აღნიშნულ სისტემას ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, რა რისკებს შეიცავს და რამდენად შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- განსაზღვრული და დეკლარირებულია თუ არა მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და ვადები, დაცულია თუ არა მონაცემთა დამუშავების პრინციპები;
- ნათელი და ხელმისაწვდომია თუ არა ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტისათვის, რა მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მის შესახებ ამ სისტემის მეშვეობით;
- რეგულირებულია თუ არა სისტემაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის წესები და დონეები;
- რეგულირებული და განჭვრეტადია თუ არა მონაცემთა სუბიექტისთვის სისტემიდან მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის საკითხი;
- აქვს თუ არა მონაცემთა დამუშავებელს მიღებული ადეკვატური ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები სისტემაში მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

კვლევითი ამოცანების შესაბამისად, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრმა შეიმუშავა კითხვარი და შერჩეული უწყებებიდან გამოითხოვა.

ასევე დამუშავებული იქნა უკვე გამოქვეყნებული/ხელმისაწვდომი ინფორმაცია ნორმატიული აქტებისა და სხვა ინფორმაციის სახით, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებები.

3. ძირითადი მიგნებები

შერჩეული სისტემების მონიტორინგის საფუძველზე რამდენიმე ზოგადი მახასიათებელი გამოიკვეთა. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა მონაცემთა მსხვილი დამმუშავებლების მიერ არასათანადოდაა შეფასებული და გათვალისწინებული. შეფასებული უწყებებისთვის არ ჩანს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხის პრიორიტეტულობა და მისი გათვალისწინება ყოველდღიურ საქმიანობაში, ათასობით მოქალაქის პერსონალურ მონაცემებთან ურთიერთობისას.

მონაცემთა დაცვის საკითხისადმი სისტემური მიდგომა არ არსებობს ისეთ მნიშვნელოვან და მსხვილ დამმუშავებლებშიც, როგორცაა მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გასათვალისწინებელია, რომ არცერთი შემოწმებული სისტემისათვის, მათ შორის, ისეთი სენსიტიური სისტემებისთვისაც კი, როგორცაა ჯანმრთელობის შესახებ ჩანაწერების ელექტრონული სისტემა, ჰკვიანი კამერების სისტემა, მშვილბელთა რეესტრი და ა.შ, არ არის შეფასებული მონაცემთა დამუშავების ზეგავლენა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შესაბამისი რისკები.

მონიტორინგის ფარგლებში არცერთ უწყებაში არ აღმოჩნდა მონაცემთა დამუშავების წესების მარეგულირებელი ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც კონკრეტულად უწყებისა თუ სისტემის გათვალისწინებით მოაწესრიგებდა მონაცემთა დამუშავების სპეციფიკურ საკითხებს.

რიგ შემთხვევებში არ არის იდენტიფიცირებული და რეგლამენტირებული მონაცემთა დამუშავების მიზნები და საფუძვლები.

უმეტეს შემთხვევაში პრობლემურია მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზების მექანიზმები, რაც გამოიხატება არა იმდენად კონკრეტულ ფაქტებში, როდესაც სუბიექტს შეეზღუდა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, არამედ სისტემურ სურათში, როდესაც ეფექტიანი მექანიზმების არარსებობა, მონაცემთა წვდომების

არასათანადო აღრიცხვა და ა.შ. ქმნის საფრთხეს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდეს ან მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

პრობლემურია მონაცემთა შენახვის ვადებთან დაკავშირებული საკითხი, რადგან უმეტესი მონაცემებისა და სისტემებისათვის არ არის განსაზღვრული კონკრეტული, კანონიერ მიზანთან შესაბამისი ვადები. ასევე, არ არსებობს მონაცემთა განდაგურებისა თუ დაარქივების სათანადო წესები.

მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მისაღები ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები უწყებების მიერ ძალიან ფრაგმენტულად არის მიღებული. ზოგიერთ უწყებაში გათვალისწინებულია მონაცემთა ბაზებზე წვდომის ავტორიზაცია, ზოგიერთი დამმუშავებელი ახდენს მონაცემთა მიმართ შესრულებული ქმედებების ლოგირებას და ა.შ, თუმცა არცერთ უწყებაში არ აქვს ადგილი სიტუაციის დეტალურ ანალიზს, სათანადო შეფასებას და დამმუშავებული მონაცემების ადეკვატური ზომების მიღებას.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა

4.1 სისტემის აღწერა

საქართველოში 2005 წლიდან მოქმედებს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა (შემდგომში - სისტემა). ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად აუცილებელი წინაპირობაა. სისტემას ორგანიზებას უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი). სისტემაში მუშავდება ნებისმიერი იმ პირის პერსონალური მონაცემები, რომელსაც სურს სწავლა განაგრძოს საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

2005-2011 წლებში გამოცდებზე რეგისტრაცია არაელექტრონული/წერილობითი ფორმით წარმოებდა, 2011 წელს რეგისტრაცია შესაძლებელი იყო როგორც ელექტრონულად, ისე ადგილზე მისვლით (მატერიალური ფორმების შევსებით), ხოლო 2012 წლიდან გამოცდებისთვის რეგისტრაცია მხოლოდ ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა შესაძლებელი (www.naec.ge).

ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული და ცენტრისგან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, სისტემაში რეგისტრაციის დროს მუშავდება შემდეგი პერსონალური მონაცემები: გამოცდაზე გასვლის მსურველი პირის სახელი, გვარი, დაბადების წელი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტები, ინფორმაცია სპეციალური საჭიროების არსებობის შესახებ, ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალი.

გამოცდების საბოლოო შედეგების დადგომამდე სისტემის მომხმარებელს შეუძლია მონაცემების რედაქტირება. გარდა ჩამოთვლილისა, მონაცემებს ეტაპობრივად ემატება შეფასების ქულები, საგამოცდო ნაშრომი, სასურველი პროგრამების ჩამონათვალი პრიორიტეტულობის მიხედვით (ცვლილების შემთხვევაში) და გამოცდის შედეგები (ნედლი ქულა, სკალირებული ქულა, სახელმწიფო დაფინანსება, ჩაბარების შემთხვევაში - უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დასახელება).

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ძირითად საკითხებს არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება“ (შემდგომში - დებულება).

ცენტრი ასევე ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორის მიერ 2017 წლის 19 დეკემბერს გამოცემული N239117 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ტექნოლოგიური უსაფრთხოების სახელმძღვანელოთი“.

აღსანიშნავია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 2016 წელს შეამოწმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა (შემოწმების დროისათვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა). შემოწმება შეეხებოდა მხოლოდ საგამოცდო შედეგებისა და შესაბამისი რანჟირებული სიების საჯაროობას და არ მოიცავდა წინამდებარე კვლევის ფარგლებში განსახილველ საკითხებს, მათ შორის, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას.¹

4.2 კვლევის ამოცანები

ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს ერთადერთ გზას, რომლითაც შესაძლებელია საქართველოში აკრედიტირებულ სასწავლებლებში უმაღლესი განათლების მიღება. შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში მუშავდება მონაცემები ნებისმიერი იმ პირის შესახებ, რომელსაც სურს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატეგორიისა (მოცულობის) და სუბიექტთა სიმრავლის გათვალისწინებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულებაა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით.

მსგავს სისტემებში პერსონალურ მონაცემთა არადანიშნულებისამებრ გამოყენების/ უკანონო დამუშავების რისკების შესამცირებლად კი აუცილებელია, კომპლექსური მიდგომა და ადეკვატური სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების ერთობლიობის გატარება.

კვლევის ზოგად ამოცანას წარმოადგენს იმის შემოწმება, რამდენად ექცევა ყურადღება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს გამოცდაზე რეგისტრაციის პროცესში და გატარებულია თუ არა შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები მონაცემთა დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

¹ უფრო კონკრეტულად, შემოწმება შეეხებოდა საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით 2005-2013 წლებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა შესახებ ინფორმაციის განთავსების გზით პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების ფაქტსა და მისი კანონიერების შესწავლას, რაც ამავე გადაწყვეტილებით, სამართალდარღვევად იქნა ცნობილი.

კონკრეტულად, პასუხი გვინდოდა გაგვეცა შემდეგ კითხვებზე:

- იდენტიფიცირებული და დეკლარირებულია თუ არა მონაცემთა დამუშავების მიზნები და განჭვრეტადია თუ არა ისინი მონაცემთა სუბიექტთათვის;
- იდენტიფიცირებული და დეკლარირებულია თუ არა მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და ვადები და შესაბამისობაშია თუ არა ისინი მონაცემთა დაცვის პრინციპებთან;
- ნათელი და ხელმისაწვდომია თუ არა მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაცია თუ მის შესახებ კონკრეტულად რა მონაცემები შეიძლება დამუშავდეს ამ სისტემის მეშვეობით;
- რეგულირებულია თუ არა სისტემაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის წესები და დონეები;
- რა ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები აქვს მიღებული ცენტრს სისტემაში მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- არსებობს თუ არა მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც შეამოწმებდა სისტემაში მონაცემთა დამუშავების წესების შესრულებას.

ზემოაღნიშნული კვლევითი ამოცანების შესაბამისად, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრმა (IRC) შეიმუშავა კითხვარი, რომლის დახმარებითაც შეეცადა ცენტრისგან ინფორმაციის მიღებას ღია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფარგლებში, ასევე, დამუშავებული იქნა უკვე გამოქვეყნებული/ხელმისაწვდომი ინფორმაცია ნორმატიული აქტებისა და სხვა ინფორმაციის სახით, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის 2016 წლის 12 დეკემბრის Nგ-1/422/2016 გადაწყვეტილება სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ შემოწმების დასრულების შესახებ.

ბუნდოვანი საკითხების დასაზუსტებლად და არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, 2020 წლის იანვარში მოხერხდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება, რის შედეგადაც დაზუსტა გარკვეული საკითხები

4.3 კვლევის შედეგები

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები:

პერსონალურ მონაცემთა მოცულობა და დამუშავების მიზნები

მონაცემთა სუბიექტისთვის არ არის განჭვრეტადი დასამუშავებელ პერსონალურ მონაცემთა მოცულობა და მიზნები

ერთიანი ეროვნული გამოცდების მომწესრიგებელი არცერთი ხელმისაწვდომი აქტი, მათ შორის, არც დებულება არ ითვალისწინებს გამოცდებისა თუ მასზე რეგისტრაციის ფარგლებში დასამუშავებელ აბიტურიენტთა პერსონალურ მონაცემთა კონკრეტულ ჩამონათვალს. დებულების მე-15 მუხლი ადგენს რეგისტრაციის დროს დასამუშავებელ მონაცემთა ჯგუფებს: ტექნიკური მონაცემები, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, აბიტურიენტის თაობაზე არსებული სხვა ინფორმაცია, ერთიანი ეროვნული გამოცდის დაგეგმისთვის საჭირო მონაცემები, თუმცა თითოეული ამ ჯგუფის ქვეშ კონკრეტულად რა მონაცემი შეიძლება იგულისხმებოდეს, განჭვრეტადი არ არის.

განზოგადებული ჩამონათვალი იძლევა საკმაოდ ფართო განმარტების შესაძლებლობას, რაც მონაცემთა ნაკლებად განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ დამუშავებასაც შეიძლება გულისხმობდეს. შედეგად, გაურკვეველი რჩება თავად ის საკითხიც, თუ კონკრეტულად რა მონაცემებს ამუშავებს ცენტრი აღნიშნული სისტემის ფარგლებში.

ბუნდოვანია მონაცემთა დამუშავების მიზნების საკითხიც. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნით. დებულება ადგენს, რომ მონაცემთა ბაზის წარმოების მიზანია² „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება“ და მისი დაგეგმვა, მათ შორის, ტესტების დაბეჭდვა, ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგისა და საგამოცდო ცენტრების მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდების დაგეგმვა და ჩატარების ორგანიზება ცენტრის მხრიდან გარკვეული მონაცემების დამუშავებას მოითხოვს, იმის გათვალისწინებით, რომ დებულება დასამუშავებელ მონაცემთა დაჯგუფებულ არაამომწურავ ჩამონათვალს განსაზღვრავს, დამუშავების მიზნების ასეთი ზოგადი შინაარსი არ იძლევა მონაცემთა სუბიექტისთვის მონაცემთა დამუშავების უშუალო კონკრეტული მიზნების განჭვრეტის შესაძლებლობას. ასევე, მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან თუ რომელ მონაცემებს რომელი მიზნის მისაღწევად ამუშავებს ცენტრი.

მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

² საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება“, მუხლი 16 (1)

არ არის სრულად განსაზღვრული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. ცენტრის მიერ გამოცდაზე გასვლის მსურველი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების, არჩეული საგნებისა თუ პროგრამებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის დამუშავების საფუძველია აღნიშნული მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ანუ ცენტრი მონაცემებს ამუშავებს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტების რეგისტრაციის, აბიტურიენტთა მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოცდების ჩატარების შესასრულებლად.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზების/ჩატარების პროცესში ცენტრი ასევე ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, კერძოდ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მონაცემებს სპეციალური საჭიროების შესახებ. ასეთი საჭიროების არსებობის შესახებ ინფორმაცია მიეთითება რეგისტრაციის დროს, ხოლო სპეციალური საჭიროების არსებობის შემთხვევაში განსაზღვრული პირობებით სარგებლობა პირს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის დაწყებამდე წარადგენს შესაბამისი მდგომარეობის დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტაციას. ცენტრი ამ დოკუმენტს იყენებს სპეციალური საჭიროების რეალურად არსებობის დასადასტურებლად და არ ინახავს მას. მიუხედავად აღნიშნულისა, რეგისტრაციისას მითითებული სპეციალური საჭიროების არსებობა თავისთავადვე წარმოადგენს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემია. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით. ტერმინი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას სწავლის პროცესში, რომელსაც აწყდება მოსწავლე და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს.³ აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში ცენტრი განსაკუთრებულ საგამოცდო პირობებს ითვალისწინებს ისეთი პირებისათვისაც, რომლებსაც არ აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (მაგ. მხედველობის დაქვეითების მსუბუქი შემთხვევა, შეზღუდული შესაძლებლობები და ა.შ). ასეთ შემთხვევებში, კანონის ფორმალური გაგებით არ არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძველი, და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის გამოყენება მხოლოდ მისი ფართო

3

<https://directors.mes.gov.ge/upload/pdf/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.%20%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf>

განმარტების შემთხვევაში ხდება შესაძლებელი. ვინაიდან საქმე ეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და, შესაბამისად, ძალიან სენსიტიურ - ჯანმრთელობის მდგომარეობის თემას, მიზანშეწონილია, მე-6 მუხლის დებულებების ფართო ინტერპრეტაცია ნაკლებად მოხდეს პრაქტიკაში და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე უფრო კონკრეტულად განისაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება არის/იქნება საჭირო.

მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება

არ არის უზრუნველყოფილი მონაცემთა სუბიექტის სრულფასოვანი ინფორმირება მის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავებლის ვალდებულებას, მოთხოვნისამებრ მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, კერძოდ, რომელი მონაცემები მუშავდება მის შესახებ, რა მიზნითა და საფუძვლით, რა გზით შეგროვდა მასზე მონაცემები, ვის გადაეცა ისინი და რა მიზნითა და საფუძვლით. ამასთან, ევროპული კანონმდებლობა და თანამედროვე სტანდარტი მიმართულია სუბიექტის ჩართულობის გაზრდაზე მონაცემთა დაცვის პროცესში, რისთვისაც უპირველესად მნიშვნელოვანია მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობა და სუბიექტის მაქსიმალური ინფორმირება

სისტემაში დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა მოცულობის გათვალისწინებით, მიზნების განსაზღვრასთან და დოკუმენტირებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის საკითხის მოწესრიგება იმისათვის, რომ მონაცემთა სუბიექტმა შეძლოს აღქმა, თუ კონკრეტულად რა მონაცემები მუშავდება მის შესახებ.

დებულების თანახმად, ცენტრი უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემებით, რაც ცენტრის წარმომადგენლების ზეპირი განცხადების თანახმად პრაქტიკულადაც ასე ხორციელდება. რეგისტრაციის დროს ყოველთვის გამოიყენება აღნიშნული ბაზიდან მოწოდებული მონაცემები. ცენტრსა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია ხელშეკრულებით, თუმცა მონაცემთა სუბიექტისათვის არც თავად ურთიერთობის და არც ამ ურთიერთობის დეტალების, კერძოდ, მონაცემთა გადაცემის საფუძვლების, მიზნების,

მოწოდებული მონაცემების მოცულობის, მოწოდების გზების და ა.შ. შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

სასურველია, რეგისტრაციის დროს მონაცემთა სუბიექტს გამოუჩნდეს შესაბამისი შეტყობინება პროცესში სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ჩართულობისა და მისი პერსონალური მონაცემების სხვა უწყების მონაცემთა ბაზებში გადამოწმების თაობაზე.

მონაცემთა შენახვის ვადები

სისტემაში დამუშავებული პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები განსაზღვრული არ არის

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად. მიზნის მიღწევის შემდეგ მონაცემები უნდა წაიშლოს/განადგურდეს.

სისტემაში დამუშავებული პერსონალური მონაცემები ინახება მუდმივად. ერთი წლის განმავლობაში მონაცემები ხელმისაწვდომია აქტიურად გამოყენებად ელექტრონულ ბაზაში, ხოლო მომდევნო წლის ეროვნული გამოცდების მოსამზადებელი პერიოდის დაწყებისთვის, მონაცემები გადადის არქივში.

ცენტრთან ზეპირი კომუნიკაციისას დადგინდა, რომ, ფაქტობრივად, მონაცემთა მხოლოდ ნაწილი არქივდება, ხოლო ნაწილი - იშლება. ცენტრს არ აქვს მონაცემთა არქივირებისა და/ან წაშლის დადგენილი და რეგლამენტირებული წესი. ასევე, არ არის დოკუმენტირებული თუ მონაცემთა რა ნაწილი არქივდება და რა ნაწილი იშლება.

ცალკეულ მონაცემთა ერთ წელზე მეტი ვადით შენახვა შესაბამისი ლეგიტიმური საჭიროების არსებობის შემთხვევაში, თავისთავად პრობლემას არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს კონკრეტული საჭიროება, მონაცემთა დამუშავების საჭიროების მიზნიდან გამომდინარე კონკრეტული ვადები და მონაცემთა შენახვისა თუ განადგურების კონკრეტული წესები. თითოეული მონაცემის დამუშავების აუცილებლობის შეფასების შემდგომ, უნდა გაიმიჯნოს, რომელი მონაცემები საჭიროებს ხანგრძლივი ვადით (ან მუდმივად) შენახვას და რომელს აქვს მხოლოდ გამოცდების ორგანიზებისათვის კონკრეტული მნიშვნელობა და მათი დამთავრებისთანავე უნდა წაიშალოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მონაცემთა სტატისტიკური მიზნებისთვის დამუშავების საჭიროება, მათი შენახვა უნდა მოხდეს დეპერსონალიზებული სახით.

მონაცემთა უსაფრთხოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები

მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები არასრულყოფილია, მათ შორის, არ არის გათვალისწინებული მონაცემთა დათვალიერებისა ან მათზე შესრულებული მოქმედებების კონტროლის რაიმე მექანიზმი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. აღნიშნული მოიცავს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას, როგორც გარე, ისე შიდა რისკებისგან, რაც მოიაზრებს ფიზიკური თუ პროგრამული უსაფრთხოების ზომების მიღებას, გარეშე პირთა მხრიდან მონაცემებზე წვდომის აღსაკვეთად და შიდაორგანიზაციულად მონაცემებზე დაშვების მქონე პირთა წრის განსაზღვრასა და მათ მიერ წვდომის განხორციელების კონტროლს, მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების შესაზღუდად.

სისტემა დაცულია AlienVault კიბერუსაფრთხოების სისტემით. ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბაზაზე წვდომის უფლება აქვს ცენტრის 3 თანამშრომელს, მათგან ორს წვდომა აქვს მხოლოდ დათვალიერების უფლებით, ხოლო ერთს - ადმინისტრატორის ფუნქციით, რაც ბაზაში ცვლილებების შეტანის უფლებასაც გულისხმობს.

სისტემის უსაფრთხოების საკითხს არეგულირებს ცენტრის დირექტორის 2017 წლის 19 დეკემბერის N239117 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ტექნოლოგიური უსაფრთხოების სახელმძღვანელო“ (შემდგომში - „სახელმძღვანელო“). სახელმძღვანელოს მე-4 მუხლით გათვალისწინებულია ლოგ ფაილების („პროტოკოლების“) შენახვა და მათი ანალიზი. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „უნდა მოხდეს მომხმარებლის ყველა აქტივობის რეგისტრაცია (მაგ. მონაცემთა შეყვანა, ცვლილების შეტანა ან წაშლა)“, დოკუმენტირება და ამ ინფორმაციის ანალიზი. ამ ქმედებათა მიზანს, ამავე მუხლის თანახმად, წარმოადგენს არაუფლებამოსილი წვდომის შემთხვევების გამოვლენა და პრევენცია.

სახელმძღვანელოს მე-2 მუხლის 1.12 ქვეპუნქტი ასევე ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ვალდებულებას, უზრუნველყოს ზოგიერთი ტიპის მომხმარებლის მხრიდან წვდომის აღრიცხვა. ამავე მუხლის თანახმად, გათვალისწინებულია სისტემაზე წვდომის განხორციელების (სისტემაში შესვლის) ჩანაწერების პერიოდული მონიტორინგი აუდიტის უფლებამოსილების მქონე პირის (მაგ, შიდა აუდიტის) მიერ.

ცენტრისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ჟურნალირების ჩანაწერები ინახება ერთი თვის განმავლობაში, ხოლო სახელმძღვანელოს მე-2 მუხლით გათვალისწინებული

მონიტორინგი, 2020 წლის იანვრის მონაცემებით, 2017 წლიდან არასდროს ჩატარებულა ანუ ფაქტობრივად, არ ხდება მონაცემებზე წვდომის, მათ შორის, დათვალიერებისა თუ ცვლილებების განხორციელების ჩანაწერების შემოწმება და კონტროლი.

სასურველია, აღნიშნულ ბრძანებაში დეტალურად გაიწეროს მონიტორინგის ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირი/სტრუქტურული ერთეული და დადგინდეს მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობა, რაც ეფექტიანს გახდის მონაცემთა მიმართ ელექტრონულად განხორციელებული ქმედებების აღრიცხვის მექანიზმსა და მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის, განადგურების, შეცვლის, გამჟღავნებისა თუ მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს.

მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება

არ ჩატარებულა მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება

ისეთი სისტემებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით დიდი მოცულობის მონაცემებს ამუსავებენ კარგი პრაქტიკაა სისტემის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება ანუ რისკების იდენტიფიცირება. მსგავს მოთხოვნებს აწესებს ევროპის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) და “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავს ვალდებულებას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, შეფასების ჩატარება და შემდგომ მისი დოკუმენტირება დადებითად აისახება მონაცემთა დამუშავების საერთო სტანდარტზე, იძლევა შესაძლო რისკების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების წინასწარვე მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ასეთი შეფასება საუკეთესო პრაქტიკა იქნებოდა არამარტო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის, არამედ ზოგადად საჯარო სისტემაში მსგავსი მასშტაბის მონაცემთა დამუშავებლებისთვის.

ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემასთან მიმართებით, მსგავსი სახის რაიმე შეფასება არ ჩატარებულა.

4.4 ძირითადი მიგნებები

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ცხადად არ არის განსაზღვრული დამუშავებულ მონაცემთა მოცულობა და მათი დამუშავების მიზნები
- პრობლემურია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლები
- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით ნათელი და დეტალიზებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი მონაცემთა სუბიექტათვის.
- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მხრიდან არ არის უზრუნველყოფილი მონაცემების მიმართ განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვის მონიტორინგი,
- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს არ აქვს განსაზღვრული ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში მონაცემთა დამუშავების კონკრეტული ვადები და არქივირების წესები
- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს არ აქვს შეფასებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები და დამუშავების ზეგავლენა.